ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოფიკო ტალიაშვილი

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი, როგორც უსაფრთხოების და სტაბილურობის მიღწევის ინსტრუმენტი საქართველოში - ეროვნული ანალიზის დონე

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გუგული მაღრაძე, სრული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს ეროვნული ანალიზის დონეზე სამთავრობო არხის გამოყენებით ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი, როგორც სტაბილურობისა და უსაფრთხოების მისაღწევად საჭირო ინსტრუმენტი. მისი შესწავლა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ დღეს იგი წარმოადგენს საერთაშორისო მოლაპარაკებების ერთადერთ მრავალმხრივ ფორმატს, რომლის მონაწილეებთან შესაძლებელია პირდაპირი დიალოგი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის ფონზე, სადაც ინდივიდუალური სტატუსით წარმოდგენილ მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ არსებულ პრობლემებზე და იმსჯელონ მისი გადაწყვეტის გზებზე.

კვლევაში განხილულია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის გამოყენების შედეგად მიღწეული შედეგები და ის ძირითადი საკითხები, რომელთა გადაწყვეტასაც უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის შექმნის არსებითი მიზნის განსახორციელებლად. საუბარია ასევე აღნიშნული ფორმატის სამომავლო პერსპექტივებზე, რამდენად მიზანშეწონილია მისი გაგრძელება, რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს ფორმატის ცვლილება ან გაუქმება მოლაპარაკებებში ჩართული მხარეებისთვის.

Annotation

The aim of the present research paper is study The Geneva International Discussion format on the national analysis level as a tool of achieving security and stability In Georgia used by government, track one from multitrack diplomacy. It is interesting to research this topic, because this is the only format of international multilateral negotiations where members of these discussions have individual status and are enable to manage a direct dialogue between each other against participating of international co-chairmen about the problems and in case of desire, talk about the ways to solve them.

The results of The Geneva International Discussions are represented in these study. There are also identified such issues that are significant to be resolved for implementing basic aims of these discussions. In addition, there is talkig about future perspectives of the format, what results the transformation or abolition of the format will bring for the parties involved in the negotiations.

სარჩევი

შესავალი 5

ლიტერატურის მიმოხილვა 10

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი 15

უსაფრთხოების საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე 29

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის მომავალი 33

დასკვნა 37

გამოყენებული ლიტერატურა 39

შესავალი

კვლევის აქტუალობა

საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიღწევის მნიშვნელობის დადასტურებისთვის მხოლოდ ის ფაქტიც კი საკმარისია, რომ დღეს მისი ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, შედეგად კი საქართველოს კანონმდებლობაში გაჩნდა კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომლის მიზანია „|განსაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, დაადგინოს ამ ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი“ (საქართველოს პარლამენტი, 2008) https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=7 არსებული პრობლემის აქტუალურობას ადასტურებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის განმტკიცება, მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციის წარმატებული პოლიტიკის განხორციელება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა. აღნიშნული დიპლომატიური სამსახურის მთავარ ამოცანას წარმოადგენს (mfa, 2019) http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx

მოლაპარაკებების გზით კონფლიქტის მოგვარება ან პოსტ-კონფლიქტური ვითარების დარეგულირება არ არის ახალი მოვლენა, თუმცა დღეს კიდევ და კიდევ ცდილობენ მის დახვეწას, რათა გახდეს უფრო მოქნილი ინსტრუმენტი აღნიშნული მიზნის მისაღწევად. იმ ფონზე, რომ მშვიდობის დაცვა და უზრუნველყოფა საქართველოს სამშვდობო პოლიტიკის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, ხოლო „საქართველოს ხელისუფლება

მიმართავს ძალისხმევას მშვიდობის დაცვის, უსაფრთხოების რისკებისა და შესაძლო პროვოკაციების განეიტრალების, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის და სუვერენიტეტის განმტკიცების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურყევი კურსისა და ეკონომიკური განვითარების ვექტორის დაცვისაკენ, რაც კონფლიქტების მშვიდობიანი და წარმატებული მოგვარების წინაპირობაა“ მოლაპარაკებების წარმოება მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოსაგვარებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. („საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 8 მთავარი ამოცანა“, 2017)

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი შერჩეული იქნა იმ მიზნით, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სტაბილურობისა და უსაფრთოების მიღწევის მცდელობის თვალსაზრისით ის წარმოადგენს საერთაშორისო მოლაპარაკებების ერთადერთ ფორმატს, რომლის მონაწილეებიც ინდივიდუალური სტატუსით არიან წარმოდგენილი (smr).

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპრიებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიებზე ირღვევა მოქალაქეების უფლებები, რომელთაც არ აქვთ მთელი საქართველოს მასშტაბით გადაადგილების თავისუფლება, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლება, როდესაც ფიქსირდება მოქალაქეთა უკნანონო დაკავების და რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ზოგიერთი მათგანის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები, ვფიქრობ საინტერესო და სასარგებლო იქნება ჟენევის საერათაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის როგორც სამთავრობო არხის ხელთ არსებული ინსტრუმენტის, როგორც ერთადერთი საშუალების განხილვა რუსეთის ფედერაციასთან, ოკუპირებულ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან საერთაშორისო ორგანიზაციების თანათავმჯდომარეების ჩართულობით პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოების მიზნით.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია იმის დადგენა თუ როგორ გამოიყენება სამთავრობო არხის მიერ მისივე მონაწილეობით ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად. წინამდებარე კვლევის ჩატარების

დანიშნულება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების შეფასებაა იმ თვალსაზრისით, თუ მისი გამოყენების შემთხვევაში რა საშუალებებს მიმართავენ ეროვნულ ანალიზის დონეზე იმისათვის, რომ მიღწეული იქნას კონკრეტული შედეგები ქვეყანაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მისაღწევად.

კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანაა იმის განსაზღვრა ახდენს თუ არა გავლენას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები საქართველოში სტაბილურობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ ვითარებაზე. გავლენის მოხდენის შემთხვევაში კი, კვლევის ამოცანაა იმის დადგენა თუ რა სახის ცვლილებებს იწვევს აღნიშნული ფორმატი და როგორ მოქმედებს აღნიშნული ცვლილებები სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე.

კვლევის კითხვები

- რატომ არის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის არსებობა.
- კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული ფორმატის გამოყენებით მიღწეული შედეგები.
- რამდენად ეფექტიანი ინსტრუმენტია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი საქართველოში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევის თვალსაზრისით.
- რა არის ის ფაქტორები, რომლებიც მიმდინარე ფორმატში სამთავრობო არხის მიერ დასახული მიზნების წარმატებით განხორციელებას უშლის ხელს

ჰიპოთეზა

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი, როგორც ეროვნული ანალიზის პირველი დონის, სამთავრობო არხის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად არასაკმარისად ეფექტიანია.

ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაცია

დამოუკიდებელი ცვლადი არის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი, რომელიც გავლენას ახდენს დამოუკიდებელ ცვლადზე - საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით არსებულ ვითარებაზე. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები მრავალმხრივი მოლაპარაკებების ფორმატს წარმოადგენს, რომელიც შეიქმნა 2008 წლის რუსეთსა და საქართველოს შორის აგვისტოს ომის შემდეგ იმისათვის რომ დაწყებულიყო დისკუსიები 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად. უსაფრთხოების ცნება გულისხმობს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული იდეოლოგიისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004)

აუდიტორია

მოცემული კვლევის შედეგები ზოგადი შეფასებით საინტერესო იქნება ყველასთვის ვინც დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით და მისი ხელშემწყობი მექანიზმებით. ვფიქრობ, კვლევა სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც დაინტერესებულია საერთაშორისო მოლაპარაკებებით, მათი გამოყენების საფუძველზე კონფლიქტების მოგვარებითა და დარეგულირებით, მრავალახრიანი დიპლომატიითა და კონფლიქტების გადაჭრის მშვიდობიანი გზებით დაინტერესებული პირებისთვის.

მეთოდოლოგია

კვლევის სრულყოფისა და ობიექტურობისთვის გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზისა და დამშავების საშუალებას იძლევა. კერძოდ ჩატარდა ექსპერტული ინტერვიუები ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მოსაძიებლად, მისი არსის უკეთ გასაგებად და ეროვნული ანალიზის პირველ დონეზე - სამთავრობო არხის ხელთ არსებული ინსტრუმენტის მნიშვნელობის ხაზგასასმელად საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად. გარდა ამისა, ამავე მიზნით, ასევე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ნაკლოვანებებისა და მიღწეული შედეგების გასაანალიზებლად გამოყენებული იქნა დოკუმენტების ანალიზი. აღნიშნული მოიცავს როგორც პირველად

ასევე მეორად წყაროებს, ექსპერტების ინტერვიუებს, პრეს-რელიზებს, ხელშეკრულებებს, სტატიებს, საინფორმაციო ბუკლეტებს, პერიოდულ გამოცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს და სხვა. არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება საკითხის უფრო დეტალურად, ფართო ჭრილში შესწავლა, რაც უზრუნველყოფს საკითხის შესწავლის საფძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთებას.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვები განსახილვევლი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ვინაიდან ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი სამთავრობო დონეზე ტარდება, ამასთან დაკავშირებით ძირითადად ხელმისაწვდომია ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაცია და საჯარო დოკუმენტაცია, რომელიც არ იძლევა პრობლემური საკითხების ნათლად გამოვლენის საშუალებას. რესურსების სიმცირისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილების შეზღუდვის გამო რთულია ასევე არსებული ვითარების დეტალურად აღწერა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ქვეყანაში უსაფრთოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა მშვიდობასთან არის დაკავშირებული. მშიდობის კონცეფიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ნორვეგიელი მეცნიერისა და ამ სფეროს მკვლევრის იოჰან გალტუნგის მიერ შემოთავაზებული პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობის ცნებები. გალტუნგის თვალდახედვით, „ნეგატიური მშვიდობა ნიშნავს ომის, კონფლიქტის არარსებობას სახელმწიფოებს შორის ან ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, მაგალითად, როგორიცაა ბალკანეთის ომი. მეორეს მხრივ პოზიტიური მშვიდობა ნიშნავს ომის ან კონფლიქტის არარსებობას, რომელიც ერწყმის თანასწორობას, სამართლიანობას, და განვითარებას“ (nplg).

საქართველოს ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში „მშვიდობის“ განმარტების მოძიებისას საინტერესო შეხედულებას წააწყდებით. მასში ნახსენებია: „მაშინ როდესაც ზოგიერთი ფიქრობს, რომ ომის დასრულების შემდეგ ყველა პრობლემა გადაჭრილია, რეალურად სამუშაოს დიდი ნაწილი კვლავ შესარულებელი რჩება, კერძოდ, ქვეყნის აშენება და სტრუქტურების განვითარება, რომელიც მიგვიყვანს უფრო მეტ სოციალურ სამართლიანობამდე და განვითარებამდე ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ. ამდენად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშვიდობა არ არის მხოლოდ განიარაღების საკითხი, არამედ ასევე დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან“ (nplg).

მართლაც მშვიდობა კონფლიქტის დასრულებისთავანე დაუყოვნებლივ არ მიიღწევა. მშვიდობის ცნებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია განვმარტოთ რა განსხვავებაა მშვიდობის დამყარებას, მშვიდობის შენარჩუნებას და მშვიდობის მშენებლობას შორის. მშვიდობის შენარჩუნება/მშვიდობის დაცვა ხორციელდება მანამ სანამ დაიწყება იძულებითი მშვიდობის დამყარება და გააქტიურდება სანქციების რეჟიმი, როგორც ეს გაეროს ქარტიის VII თავშია აღწერილი. მშვიდობის მშენებლობა ერთი პროცესის განხორციელებაზე მეტს ნიშნავს, რომელსაც გააჩნია უფრო ფართო პოსტ-კონფლიქტური დღის წესრიგი და ერთზე მეტი მეთოდი მშვიდობის დასაცავად (peaceinsight, 2014).

მშვიდობის მშენებლობის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, კანონის უზენაესობის განმტკიცება, წარსულში მეომარი მხარეების საზოგადოებაში რეინტეგრაცია, ადგილობრივი პოლიციის რესტრუქტურიზაცია, სასამართლოსა და სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირება. მეორე მხრივ, მოიცავს ადამიანის უფლებათა პატივისცემის გაუმჯობესებას მონიტორინგის გზით, განათლების ხელშეწყობას, ტექნიკურ დახმარებას დემოკრატიული განვითარების მიზნით, მაგ, მედიის ხელშეწყობისა და თავისუფალი არჩევნების ჩატარებისთვის. ხოლო რაც შეეხება მშვიდობის დამყარებას, მისი განხორციელება შეიძლება მაშინ, როცა მხარეებს შორის არსებობს თანხმობა ლეგიტიმურობის აღიარების შესახებ. მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმების ფარგლებში მხარეებმა შესაძლოა ჩამოაყალიბონ ის ლეგიტიმური ერთეულები, რომლებიც მზად იქნებიან მშვიდობის შენარჩუნებისა და მშვიდობის მშენებლობისთვის აუცილებელი ქმედებების განსახორციელებლად. მხოლოდ ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულება დაუდებს საფუძველს მომავალში თანამშრომლობის გაღრმავებას (peaceinsight, 2014).

მშვიდობის მშენებლობას ხშირად კონფლიქტის მოგვარებისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის გაგრძელებად მიიჩნევენ. მდგრადი მშვიდობის არსის შესაცნობად მნიშვნელოვანია იმ კონკრეტული ქმედებების განსაზღვრა, რომელთაც მის ეფექტიან განხოციელებაში მიუძღვის წვლილი. მდგრადი მშვიდობის კონცეპტუალური საფუძველი იოჰან გალტუნგის „პოზიტიური მშვიდობას“ უკავშირდება, რაც გულისხმობს იმ განმაპირობებელი ფაქტორების შექმნასა და გაძლიერებას, რომლებიც საფუძველს უყრის და ავითარებს მშვიდობას (International Peace Institite, 2017, p.2) Sustaining Peace: What Does It Mean in Practice? APRIL 2017.

მდგრადი მშვიდობის მისაღწევად და ძალადობრივი კონფლიქტების გადაჭრის პოლიტიკური გზების მოსაძიებლად მოლაპარაკებებია საჭირო. მშვიდობის მშენებლობის პროცესის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია არამხოლოდ ეფექტიან და შედეგიან მოლაპარაკებებზე სამშვიდობო ხელშეკრულების გასაფორმებლად, არამედ მას არსებითად განსაზღვრავს ის თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკებები მშვიდობის მშენებლობის პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების დროს (German Deevelopment Institute, 2017)

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის უკეთ გასაანალიზებლად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია საერთაშორისო მოლაპარაკებების ცნების განსაზღვრა. საერთაშორისო მოლაპარაკებები სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „საერთაშორისო ურთიერთობების აქტორთა პირდაპირი კონტაქტი ყველა მხარისათვის მისაღები შეთანხმების მისაღწევად“ (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004). ამავე განმარტებით, საერთაშორისო პრაქტიკაში იგი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება: მაგ, შესაძლებელია წინ უსწრებდეს საერთაშორისო ხელშეკრულების დადებას ან ხელს უწყობდეს საერთაშორისო დავების მშვიდობიან გადაწყვეტას, რომლის შემთხვევაშიც უმეტესად წინ უსწრებს სხვა მექანიზმებს საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად. მოლაპარაკებები იწარმოება როგორც პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობების გამოყენებით (პირდაპირი მოლაპარაკებები), ისე სპეციალურად მოწვეული საერთაშორისო კონფერენციის (თათბირის) საფუძველზე განსაზღვრულ საკითხზე შეთანხმების მისაღწევად. საერთაშორისო ორგანიზაციები ძალზე ეფექტური არენაა მოლაპარაკებების მექანიზმის გამოსაყენებლად. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში მოლაპარაკებები შესაძლებელია იყოს როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004)

სახელწოდებიდან გამომდინარეც ორმხრივ და მრავალმხრივ მოლაპარაკებებს შორის განსხვავება ნათელია, ვინაიდან ორმხრივ მოლაპარაკებებში ორი მოდავე მხარეა ჩართული, ხოლო მრავალმხრივში - ორზე მეტი. თუმცა ზარტმანი მაინც მიიჩნევს, რომ უმეტესად ე.წ „ორმხრივ მოლაპარაკებებში“ ორზე მეტი მხარეა ჩართული, შესაბამისად მრავალმხრივ და ორმხრივ მოლაპარაკებებს შორის არც ისე მკაფიო განსხვავებაა (Zartman, 1991, p.74) Zartman, I. William. 1991. The Structure of Negotiation. In International negotiation: Analysis, approaches, issues, edited by Victor A. Kremenyuk, San Francisco: Jossey-Bass Publishers. მრავალმხრივი მოლაპარაკებები ორმხრივთან შედარებით უფრო კომპლექსური ხასიათისაა. მისი სირთულე გამოიხატება ინტერესთა მრავალფეროვნებით, მოლაპარაკების პროცესში ჩართული ცვლადებისა და გასათვალისწინებელი საკითხების სიმრავლით (Kolb and Faure, 1994, p.127) Kolb, Deborah M. and Guy-Olivier Faure. 1994. Organization Theory: The Interface of Structure, Culture, Procedures, and

Negotiation Processes. In International Multilateral Negotiation: Approaches to the Management of Complexity, edited by I. William Zartman, 113-131. San Francisco: Jossey-Bass Publishersორმხრივ მოლაპარაკებებში კომუნიკაციის გავრცელებულ ფორმა დიალოგის წარმოებაა, რომლის დროსაც შესაძლებელია მხარეების შეხედულებებისა და არგუმენტების პირდაპირ და დაუყოვნებლივ გაცვლა. მრავალმხრივი მოლაპარაკებებისას მხარეები წარმოადგენენ ფორმალურ დოკუმენტაციასა და დეკლარაციებს, რაც მოლაპარაკების პროცესს უფრო ხანგრძლივს და მოუქნელს ხდის. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმსასხვავებელი ფაქტორი - კოალიციების შექმნა, რაც მრავალმხრივ მოლაპარაკებებში განსაკუთრებულ როლს ასრულებს განსხვავებით ორმხრივი მოლაპარაკებებისა, ვინაიდან აღნიშნული მოვლენა ამ უკანასკნელის არსებითი მახასიათებელი არ არის (André Auer and Jérôme Racine, 2005). (Multilateral Negotiations: From Strategic Considerations to Tactical Recommendations)

ყურადღება გამახვილებული იქნება კოალიციებზე მრავალმხრივ მოლაპარაკებებში, ვინაიდან ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი სწორედ მოლაპარაკებათა ამ კატეგორიას მიეკუთვნება. ზარტმანი მიიჩნევს, რომ მრავალმხრივი მოლაპარაკებების თავდაპირველი აღქმის დროს არ იკვეთება ურთიერთდაპირისპირება, ვინაიდან მხარეებმა არ იციან ვინ არიან დაპირისპირებულები. მოლაპარაკებების სპეციფიკიდან გამომდინარე კი დროთა განმავლობაში მოწინააღმდეგე მხარეები კოალიციებად გარდაიქმნებიან ორმხრივი მოლაპარაკებებისგან განსხვავებით, რომლის დროსაც ოპონენტები დასაწყისშივე გამოკვეთილი არიან (Zartman, 1994, p. 2). (WilliaZartman – International Multilateral Negotiation, p. 2)

როგორც ცნობილია, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები ეროვნული ანალიზის დონეზე მიმდინარეობს. ეროვნული ანალიზის დონე განიხილება, როგორც სამთავრობო არხი მრავალარხიანი დიპლომატიის კონტექსტში. აღნიშნული ფენომენი დაწვრილებით არის აღწერილი ლუის დიამომონდისა და ჯონ მაკდონალდის წიგნში „მრავალარხიანი დიპლომატია“. მრავალარხიანი დიპლომატია შესაძლოა წარმოვიდგინოთ, როგორც კონცეპტუალური გზა იმისა თუ როგორ უნდა დავინახოთ მშვიდობის დამყარება საერთაშორისო კონტექსტში როგორც ცოცხალი სისტემა, რომელშიც ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან ინდივიდები, მათ მიერ

განხორციელებული აქტივობები, ინსტიტუციები და გაერთიანებები. ისინი ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან საერთო მიზნისთვის - დაამყარონ მსოფლიოში მშვიდობა (Diamond and MacDonald, 1993, p. 1)

სამთავრობო არხში იგულისხმება ოფიციალური სამთავრობო ქმედებები. ფორმალური მოლაპარაკებები სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის სხვადასხვა ფორმისაა, რომელთა შორისაა ხელშეკრულებები, სპეციალური შეთანხმებები, თანამშრომლობის გეგმის განხორციელებისთვის აუცილებელი ქმედებების განსაზღვრა, საერთაშორისო და მრავალმხრივი მოლაპარაკებები და სხვ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული ანალიზის დონეზე სტაბილურობის მიღწევა და მშვიდობის დამყარება მეტად რთული და ბიუროკრატიული პროცესია. გარდა ამისა პირველი არხის უარყოფითი მხარე შესაძლოა იყოს მისი სიხისტე, ელიტიზმი, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. მისი ინსტიტუციები მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ძალის გამოყენების სახელმწიფოცენტრულ მოდელთან, რაც აფერხებს ცვლილების განხორციელებას. რაც შეეხება დადებით მხარეს, სამთავრობო არხი ხელს უწყობს ვრცელი რესურსების მობილიზებას. შეიძლება ითქვას, რომ იგი ხელმძღვანელობს მთელ სისტემას, უზრუნველყოფს მის ორგანიზებულ მუშაობას (Diamond and MacDonald, 1993, p. 28)

სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე ომების, ბუნებრივი კატასტროფების, შიმშილის და სხვა უბედურების ფონზე გაჩნდა ერთგვარი ფრუსტრაციის შეგრძნება მოქალაქეებში, რომელთაც გაუჩნდათ განცდა იმისა, რომ თუ მთავრობებს არ შეეძლოთ ეფექტიანი და ინოვაციური გზების ძიება საშინაო თუ საგარეო პრობლემების გადასაჭელად, რატომ არ უნდა ეცადათ თავად მათ რაიმეს შეცვლა. მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა რომ მხოლოდ მთავრობათაშორისო ინტერაქცია არ იყო საკმარისი და ეფექტიანი მეთოდი კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის დამყარებისათვის, გაჩნდა მეორე არხის იდეა 1982 წელს ჯოზეფ მონტვილის მიერ, რომელშიც განიხილებოდა ის მეთოდები, რომლებიც განსხვავდებოდა ფორმალური სამთავრობო სისტემის მეთოდებისგან. არასამთავრობო/პროფესიონალთა არხი ანუ კონფლიქტის მოგვარების გზით მშვიდობის დამყარება მრავალარხიანი დიპლომატიის მეორე არხს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი გულისხმობს არასამთავრობო აქტორების მიერ საერთაშორისო

კონფლიქტების ანალიზს, მართვას, მოგვარებას ან თავიდან აცილებას (Diamond and MacDonald, 1993, p. 3).

მხოლოდ ეროვნული ანალიზის დონე რომ არ აღმოჩნდა საკმარისი ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, დასტურდება იმითაც, რომ, სამთავრობო და არასამთავრობო არხების გარდა განვითარდა მრავალარხიანი დიპლომატიის კიდევ 7 არხი (ჯამში 9 არხი). ესენია: ბიზნესი ანუ მშვიდობის დამყარება კომერციული საქმიანობის გზით (ეკონომიკური შესაძლებლობებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის განვითარება, კომუნიკაციის არაფორმალური არხების შექმნა და სამშვიდობო აქტივობების მხარდაჭერა); კერძო მოქალაქეები ანუ მშვიდობის დამყარება პირადი ჩართულობის გზით (ე.წ სამოქალაქო დიპლომატია, არასამთავრბო და მოხალისეობრივი ორგანიზაციების მუშაობა და აქტივობების განხორციელება მშვიდობის დასამყარებლად); კვლევა, შესწავლა და განათლება (საუნივერსიტეტო პროგრამებისა და კვლევითი ცენტრების შექმნა, ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარება, როგორიცაა მედიაცია, მოლაპარაკება, ფასილიტაცია, განათლება საბავშვო ბაღიდან დაწყებული სადოქტორო პროგრამებით დამთვრებული. სპეციალური პროგრამების შექმნა კონფლიქტის გლობალური და ინტერკულტურული ასპექტების შესასწავლად); აქტივიზმი ანუ მშვიდობის დამყარება ადვოკატირების გზით (ადამიანის უფლებები, სოციალური და ეკონომიკური სამართალი, სპეციალური ინტერესების ჯგუფების ადვოკატირება სამთავრობო პოლიტიკის მიუხედავად); რელიგია (სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების მშვიდობაზე ორიენტაცია, პაციფიზმი და სხვა.) ; დაფინანსება ანუ მშვიდობის დამყარება რესურსებით უზრუნველყოფის გზით (სამშვიდობო აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა კერძო ორგანიზაციების ან ფილანტროფი ინდივიდების მიერ); კომუნიკაციები და მედია ანუ მშვიდობის დამყარება ინფორმაციის გზით (საზოგადოებრივი აზრის გავლენა, რაც გამოხატება მედია საშუალებებით - ტელევიზია, რადიო, ბეჭდური პრესა, ელექტრონული სისტემები და სხვა) (Diamond and MacDonald, 1993, p. 4).

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი ჩამოყალიბდა მას შემდეგ, 2008 წლის 12 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება 6 პუნქტისგან შედგება და დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა დაბრკოლების გარეშე გაეცნონ ამ დოკუმენტს, რომელიც ინტერნეტ-სივრცეში ყველასათვის არის ხელმისაწვდომი, მათ შორის კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ვებ-გვერდზე, როგორც სამშვიდობო ხელშეკრულების ერთ-ერთი მაგალითი (iccn) (http://iccn.ge/index.php?article_id=97&clang=0) ევროკავშირის შუამავლობის საფუძველზე

მომზადებული გეგმის არაოფიციალური Civil.ge-ის არაოფიციალური თარგმანის მიხედვით, შემდეგ 6 პრინციპს ეფუძნება :

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა;
2. საბრძოლო ქმედებებზე საბოლოო უარის თქმა;
3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს;
6. საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ (old.civil, 2008). https://old.civil.ge/geo/article.php?id=19157

ნიკოლა სარკოზი დამატებით განმარტებას აკეთებს შეთანხმების მე-5 პუნქტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც "უსაფრთხოების დამატებითი ზომები" შეიძლება განხორციელებულ იქნას სამხრეთ ოსეთის უშუალო სიახლოვეს, საქართველოს სხვა დანარჩენი ტერიტორიის ნაწილის გამორიცხვით; ეს "ზომები" შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ზონის შიგნით რამოდენიმე კილომეტრის სიღრმეში, სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის არსებული ადმინისტრაციული საზღვრიდან, იმის გათვალისწინებით რომ მასში არცერთი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი არ შევა - მე მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით ქალაქი გორი - განსაკუთრებული შეთანხმებები უნდა იქნას მიღებული, რათა გარანტირებულ იქნას თავისუფალი მოძრაობა და საგზაო და სარკინიგზო მიმოსვლა საქართველოში; "დამატებითი უსაფრთხოების ზომები" მიიღებს პატრულირების ფორმას, რომელსაც უზრუნველყოფენ მხოლოდ რუსეთის სამშვიდობო ძალები არსებული შეთანხმებებით დაშვებულ ფარგლებში, რუსეთის ყველა სხვა ძალები, შეთანხმების ოქმის თანახმად, უნდა დაბრუნდნენ 7 აგვისტომდელ პოზიციებზე; "ზომები" იქნება დროებითი ხასიათის, სანამ უმოკლეს ვადებში არ იქნება

ჩამოყალიბებული "საერთაშორისო მექანიზმი", რომლის არსი და უფლებამოსილება უკვე განხილვის საგანია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, განსაკუთრებით კი ეუთოში, ევროკავშირსა და გაეროში; ევროკავშირის იმდროინდელი თავმჯომარე ქვეყნის პრეზიდენტი მხოლოდ აღნიშნული განმარტების შემდეგ სთხოვს საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, რომ საკუთარი ხელმოწერით დაადასტუროს თანხმობა ექვსპუნქტიანი შეთანხმების ოქმზე (old.civil, 2008). https://old.civil.ge/geo/article.php?id=19157

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნობით, ყოველ წელს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები 4 რაუნდი ტარდება. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ყველა მონაწილე ინდივიდუალური სტატუსით არის წარმოდგენილი. მოლაპარაკებებში ჩართული მხარეებიდან, საქართველოს და რუსეთის გარდა, მონაწილეობას იღებენ აშშ-ის წარმომადგენლები, და თანათავმჯდომარეები ეუთოს, ევროკავშივშირის და გაეროს მხრიდან. დისკუსიებში ასევე ჩართულნი არიან ცხინვალის და სოხუმის წარმომადგენლები. ამასთანავე ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში მონაწილეობას იღებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (smr). http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=92

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორ პარალელურ სამუშაო ჯგუფში. პირველში განიხილავენ უსაფრთხოების საკითხებს (მაგალითად, რუსეთსა და საქართველოს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების მიღწევა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა), ხოლო მეორეში - იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი, ასევე სხვა ჰუმანიტარული საკითხები (მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილება და სხვა) (smr). http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=92

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM)

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შექმნა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებით, რის შესახებაც შეთანხმებას 2009 წლის თებერვალში, ჟენევის მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდზე მიაღწიეს. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაცემებით, აღნიშნული ფორმატის მიზანია ადგილზე ინციდენტების ყოველდღიურად განხილვა და ოპერატიული რეაგირება (smr). http://smr.gov.ge/detailspage.aspx?ID=93

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ორი მექანიზმი არსებობს - ერთი შეხვედრა იმართება გალში და მასზე აფხაზეთში მიმდინარე საკითები წყდება, ხოლო მეორე შეხვედრა იმართება ერგნეთში, სადაც განიხილავენ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მომხდარ მოვლენებსა და ინციდენტებს. გალის შეხვედრები გაეროს თანათავმჯდომარეობით იმართება, თუმცა მასზე მონაწილის სტატუსით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც (EUMM) არის წარმოდგენილი. (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, 2018, გვ.4)

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ჩართული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატის შეხვედრებში 2015 წლის 1 აგვისტოდან წამყვანი უწყება გახდა. სუს-ი მუდმივ რეჟიმში აყენებს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინციდენტების, ადამიანის უფლებების დარღვევის, ე.წ სასაზღვრო ინფრასტრუქტურის უკანონო მოწყობის საკითხებს. იგი ასევე საუბრობს საოკუპაციო ძალისა და საოკუპაციო რეჟიმების ხელისუფლების მხრიდან სხვა უკანაონო ქმედებებზე (ssg). https://ssg.gov.ge/page/occupied-territories

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემის მიხედვით, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი ითვლება არაპოლიტიკურ მექანიზმად, სადაც მიმდინარე პრობლემების განსახილველად ერთმანეთს ხვდებიან ადგილებზე ზოგადად უსაფრთოებისა და კონკრეტულად ადამიანების უსაფრთოების უზრუნველყოფის სფეროში ჩართული პირები. იქ ასევე

განიხილავენ თუ როგორ უნდა აარიდონ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მცხოვრებ პირებს ახალი პრობლემები და ინციდენტები. პირისპირ კომუნიკაციის ღირებული ფორმატის გარდა, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმს მოჰყვა არაერთი პრაქტიკული მიღწევა, დაწყებული ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს მყოფი მხარეების თანამშრომლობის შედეგად დაკავებულ პირთა გათავისუფლებით და დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე და ადგილობრივ მცხოვრებთათვის მნიშვნელოვან სხვა საკითებზე ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარის წარმომადგენლების თანამშრომლობით. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. მათ შორის იყო მნიშვნელოვან საკითხებზე წამყვანი მონაწილეების უთხანხმოების გამო შეხვედრების ხანგრძლივი დროით შეწყვეტა. ადმინისტარციული სასაზღვრო ხაზის სხვადასხვა მხარეებს შორის კომუნიკაციისთვის გამოიყენება სხვა მუდმივი და ეფექტიანი საშუალებები. იმის გათვალისწინებით თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სხვადასხვა მხარეს შორის კომუნიკაცია, პოლიტიკურ დონეზე პრინციპული უთანხმოების მიუხედავად, 2009 წელს შეიქმნა ცხელი ხაზი (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, 2018, გვ.4).

ცხელი ხაზი

ზემოაღნიშნულ ცხელი ხაზის მექანიზმს აქტიურად იყენებს სახელმწიფო უსაფრთოების სამსახური უკანონოდ დაკავებულთა დროულად გასათავისუფლებლად. ის 24-საათიანი კავშირის საშუალებაა სუს-ის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალებისა და ოკუპირებული ტერიტორიების საოკუპაციო რეჟიმების მთავრბების წარმომადგენლებს შორის. ცენტრალური ხელისუფლების სახელით, მათთან კომუნიკაციას „ცხელი ხაზის“ მეშვეობით სუს-ის მეკავშირე-ოფიცერი ახორციელებს. https://ssg.gov.ge/page/occupied-territories

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნული ცხელი ხაზს ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობისა და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მეორე მხარისთვის შეტყობინებების გადაცემის საქმეში. ადგილზე

მომხდარი მოვლენების განსახილველად ის მნიშვნელოვანი მექანიზმი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლიდან იგი მხოლოდ 30-ჯერ ამოქმედდა, 2017 წელს ამ მაჩვენებელმა 1700-ს მიაღწია, რაც დღეში საშუალოდ 4.6 ზარს შეადგენს. სულ 10 წლის განმავლობაში ცხელი ხაზი 8 000-ჯერ იქნა გააქტიურებული. ცხელი ხაზი სადღეღამისო რეჟიმში მუშაობს, კვირაში შვიდი დღის განმავლობაში და საჭიროებისამებრ ხდება მისი დაუყოვნებლივი გააქტიურება (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, 2018, გვ.4). საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იმდროინდელმა მოადგილემ დავით დონდუამ ჟენევის მოლაპარაკებებიდან დაწყების 10 წლის თავზე მიღწეული შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრისას ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ყოველთვიური შეხვედრების გარდა, ხაზი გასუვა ცხელი ხაზის ფუნქციონირების მნიშვნელობასაც, როგორც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში მიღწეულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს (1tv, 2018) https://1tv.ge/news/davit-dondua-djenevis-molaparakebebis-saiubileo-raundi-kargi-sashualebaa-tvali-gadavavlot-risi-mighweva-shevdzelit-da-ra-aris-gasaketebeli/

ცხელ ხაზზე ძირითადი განხლვის თემა დაკავებებს ეხება. მისი გააქტიურების სიხშირით, მეორე საკითხია სამედიცინო მიზნით გადაკვეთები. მისი მეშვეობით განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა ბორდერიზაციის ახალი ფაქტები ან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მახლობლად გაგონილი ქვემეხების გასროლის ხმა. ევროკავშირის სამაკვირვებლო მისია მიიჩნევს, რომ აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს დაძაბულობის შემცირებას. (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, 2018, გვ.4).

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შექმნა, ასევე მის ფარგლებში შექმნილი „ცხელი ხაზის“ მეშვეობით სატელეფონო კავშირის განხორციელება საერთო ჯამში, წინგადადგმული ნაბიჯია უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად. იგი უმნიშვნელოვანესია იმ თვასლაზრისით, რომ ამ ეტაპზე არ გააჩნია ალტერნატივა, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საერთაშოისო მექანიზმების დაშვებასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვები დიდ პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ ცხინვალის რეგიონის აღიარების შემდეგ

საქართველოში ეუთოს მისიის გაგრძელების შესახებ კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული. ამის მიზეზი გახდა რუსეთის პოზიცია, რომელიც აცხადებდა, რომ ეუთოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ოფისები უნდა გაეხსნა სამხრეთ ოსეთსა/ცხინვალის რეგიონსა და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე (საერთაშორისო ამნისტია,2019,გვ.14).

https://www.amnesty.org/download/Documents/EUR5605812019GEORGIAN.PDF

დღეს არსებული მდგომარეობით 2008 წლის შემდეგ სულ ჩატარდა მოლაპარაკებათა 48 რაუნდი. ვინაიდან ძირეულად პრობლემატური საკითების მოგვარება ვერ ხერხდება, ყოველ რაუნდზე ხორციელდება მისი განხილვისა და გადაჭრის ხელახალი მცდელობები. მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 48-ე, რაუნდის შესახებ გაკეთებული ოფიციალური განცხადებიდან ჩანს, რომ შესახებ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ბოლო, 48-ე რაუნდზე, რომელიც 2019 წლის 2-3 ივლისს გაიმართა, ისაუბრეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ისევე, როგორც საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ გამოწვევებზე, რაც წარმოადგენს რუსეთის უკანონო ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიისაკენ გადადგმული ნაბიჯების შედეგს. ისევე როგორც მოლაპარაკებების წინა რაუნდებზე, ქართულმა მხარემ მოუწოდა რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ვალდებულებები და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. ძირითადი განსახილველი საკითხები, როგორც ხედავთ, ეხება „რუსეთის მიერ ძალის არგამოყენების ვალდებულების დადასტურებისა და შესრულების აუცილებლობის საკითხი, იმ ფონზე როცა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო სამხედრო ყოფნით რუსეთი აგრძელებს საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენებას. აქცენტი გაკეთდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის საჭიროებაზე ადგილზე მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევის მიზნით“ (mfa, 2019). http://mfa.gov.ge/News/sagareo-saqmeta-saministros-ganckhadeba-jenevi-(7).aspx?CatID=5

იმისათვის რომ ნათელი გახდეს, რას მოითხოვენ დიალოგში ჩართული რუსეთი და საქართველო ერთმანეთისგან, ამისათის მოკლედ შეგვიძლია განვმარტოთ, რომ ქართველი წარმომადგენლების მოთხოვნა რუსეთის მიმართ გახლავთ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულება და საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა, სანაცვლოდ სანაცვლოდ, „რუსეთი მოუწოდებს თბილისს ოკუპირებულ ცხინვალთან და სოხუმთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებებს მოაწეროს ხელი, სადაც მოსკოვი, აშშ–სთან და ევროკავშირთან ერთად, გარანტორის როლს შეასრულებს, რაც თბილისისთვის კატეგორიულად მიუღებელია“ (old.civil, 2012). https://old.civil.ge/geo/article.php?id=25303

საქართველოსთვის და რუსეთისთვის ძირითადი მიზნები დღემდე განუხორციელებლად რჩება. რუსეთი კვლავ არ ასრულებს ევროკავშირის შუამავლობით დადებული ხელშეკრულების პირობებს, თუმცა ამავდროულად მოლაპარაკებებში ჩართულია არა როგორც მედიატორის, როგორც თავად სურს, არამედ როგორც მხარე. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, მოლაპარაკებები უშედეგო და წარუმატებელია, ვინაიდან მისი უმთავრესი მიზანი ვერ ხორციელდება. თუმცა მონაწილეთა უწყებები აქტიურად მუშაობენ დასახული მიზნების მისაღწევად, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენენ და ბუნებრივია, მათი მიზნებიც ერთმანეთს ეწინაღმდეგება. როგორც ცნობილია, მრავალმხრივი მოლაპარაკებებისთვის კოალიციების წარმოქმნა მნიშვნელოვანი სტრუქტურული მახასიათებელია. ერთ-ერთი მიდგომა, მოლაპარაკებების პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად, უკავშირდება სწორედ იმ პირობების შექმნას, რომლებიც საჭიროა კოალიციების ჩამოყალიბებისთვის და ფუნქციონირებისთვის. აღნიშნული პირობები შესაძლოა უკავშირდებოდეს კოალიციების ზომას, მის მიზნებს, ჰომოგენურობას ან ჰეტეროგენურობას (André Auer and Jérôme Racine, 2005). (http://www.sumbiosis.com/fileadmin/downloads/tools/d/multilateral_negotiations_e.pdf)

არსებული მიდგომით, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რუსეთთან ერთად ერთიანდება კოალიციაში. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ბოლო რაუნდის შემდგომ გაკეთებული

განცხადებები, რომელიც 2019 წლის 2-3 ივლისს გაიმართა. ოკუპირებული აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე ალან ჯუსოევი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 48-ე რაუნდთან დაკავშირებული მოლოდინების შესახებ აცხადებდა, რომ რაიმე შედეგს არ ელოდა, ვინაიდან საქართველო რუსეთს ცალმხრივად სთხოვს მოვალეობების შესრულებას, ერთგვარი „მომხმარებლური“ პოზიციით უდგება მასთან ურთიერთობას, ხოლო თავად ვალდებულებების შესრულებას არ აპირებს (cominf, 2019). http://cominf.org/node/1166523742

გავრცელებული განცხადებებში იკვეთება საქართველოს მოლოდინი საკითხის მის სასარგებლოდ გადაჭრისა, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი კი თითქოს წინასწარ შეთანხმებულ სცენარს მიყვებიან, რაც მართლად ასეა და ეს კარგად გამოიხატება მათ მიერ გაკეთებულ განცხადებებში. 2019 წლის 1 აპრილს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან შეხვედრისას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 48-ე რაუნდისთის მოსამზადებალდ აფხაზურმა მხარემ რუსულ მხარესთან კონსულტაციები გაიარა, რომლის შემდეგაც ოკუპირებული აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურო კოვემ აღნიშნა, რომ ჟენევის დისკუსიების ფორმატის ცვლილებაზე, მის პროდუქტიულობაზე ან არაპროდუქტიულობაზე საუბარი არაფრის მომცემია (netgazeti, 2019) https://netgazeti.ge/news/352964/

სტატს-მდივანი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი, მიიჩნევს, რომ ჟენევისს საერთაშორისო დისკუსიებს ალტერნატივა არ გააჩნია, რადგან ეს არის ერთადერთი ფორმატი, სადაც ერთმანეთს ხვდება საქართველო, რუსეთი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. „ან ჟენევაში უნდა შევიკრიბოთ, ან უნდა გავზარდოთ შეიარაღება და ვიომოთ“, - აცხადებს კარასინი (tass, 2019) https://tass.ru/politika/6627351. მიუხედავად ამ განცხადებისა, უმნიშვნელოვანესია არა ამ უკანასკნელის მიერ გამოთქმული შეფასება, არამედ რეალურად რუსეთის მხრიდან განხორციელებული ქმედებები. მაგ, დევნილთა დაბრუნების საკითხის წამოჭრისას მოლაპარაკებების 48-ე რაუნდზე რუსეთის ფედერაციამ ტრადიციულად დატოვა მოლაპარაკებების მაგიდა, რის გამოც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

მოადგილის, ლაშა დარსალიას განცხადებით : „შეიძლება ითქვას, რომ 48-ე რაუნდი ისევე როგორც მოლაპარაკებების წინა რაუნდები, ჩაიშალა“ (1tv, 2019). https://1tv.ge/news/lasha-darsalia-djenevis-molaparakebebis-48-e-raundi-sheidzleba-itqvas-rom-chaishala/

მნიშვნელოვანი შეხედულებები გამოიკვეთა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მიერ ჩატარებულ დისკუსიაში თემაზე „ჟენევის მოლაპარაკებების მომავალი: დიპლომატიის როლი კონფლიქტის ტრანფორმაციისთვის“. ერთ-ერთმა მომხსენებელმა, პაატა ზაქარეიშვილმა, რომელიც იმ პერიოდში გახლდათ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, ჟენევის ფორმატის მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნა გარკვეული ხარვეზებიც. მაგალითად, მისი აზრით, დასაწყისშივე იყო დაშვებული გარკვეული შეცდომები, რომლებიც რუსეთმა სათავისოდ ძალიან კაგად გამოიყენა. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ინიციატივა იმის შესახებ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოფილიყო საქართველოს წარმოამდგენელი. გამოსავლის ახით, რუსეთმა მოლაპარაკებების პროცესში ჩართო ოკუპირებული აფხზეთისა და ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმების საგარეო საქმეთა სამინისტროები, რამაც პროცესი, ზაქარეიშვილის შეფასებით, დაამძიმა და რუსეთს მისცა შესაძლებლობა, რომ ერთგვარად ჩრდილში მოქცეულიყო. ამის ალტერნატივად ის მიიჩნევს ისეთი სამინისტროს ჩართვას, რომელიც კონფლიქტებს იმშავებდა, ქედან გამომდინარე აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდებოდა. რაც შეეხება, ფორმატის გაუქმების საკითხს, ეს არც რუსების ინტერესებში უნდა შედიოდეს, არც აფხაზებისა და ოსების, რადგან ეს არის ერთ-ერთი უმაღლესი საერთაშორისო ტრიბუნა, სადაც მათ შეუძლიათ მოლაპარაკებების ფორმატში ჩართვა და ისინი ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებენ (ge.boell, 2015). https://ge.boell.org/ka/2015/07/21/zhenevis-molaparakebebis-momavali-diplomatiis-roli-konpliktis-transpormaciistvis

ჟენევის საერთაშორისო ფორმატის გამოწვევებზე საუბრისას საქართველოს რეფორმების ასოციაციის დამფუძნებელი ელენე ხოშტარია ასევე უსვამს ხაზს ჟენევის საერათაშორისო მოლაპარაკებების მნიშვნელობას რუსეთის ხელში არსებული

ინსტრუმენტის კონტექსტში. მისი თქმით, რუსეთის ფედერაცია, ერთის მხრივ, ცდილობს დაასუსტოს ფორმატის მნიშვნელობა, ფორმატის 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით განსაზღვრული დღის წესრიგის შეცვლით, ხოლო მეორე მხრივ მოახდინის აფხაზებისა და ოსების სტატუსის ლეგალიზება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებების ფორმატში წარმოდგენილი არიან ოკუპირებული ტერიტორიები, მათ არ გააჩნიათ ფორმალური სტატუსი, როგორც ავტონომიური სახელმწფოების, ეს კი ცალსახად საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ მეტყველებს (ge.boell, 2015). https://ge.boell.org/ka/2015/07/21/zhenevis-molaparakebebis-momavali-diplomatiis-roli-konpliktis-transpormaciistvis

უსაფრთხოების საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე

მიუხედავად ქართული მხარის მცდელობისა, ამ ეტაპზე ვერ ხერხდება რუსეთის ფედერაციის გავლენის შემცირება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ამაში ვერც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად აღწევს მიზანს. ბუნებრივია ვერ მოხდება ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულება ან ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანა რუსეთის მიერ მაშინ როცა ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების სფეროში მისი გავლენა უფრო და უფრო იზრდება.

გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების სფეროში რუსეთის ხელისუფლების კონტროლი უფრო და უფრო იზრდება. მაგალითად, ბოლოდროინდელი მოვლენებიც ცხადყოფს, რომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოების სფეროზე პასუხისმგებლობას რუსეთი იღებს. ამასთან დაკავშირებით ანალიტიკოსი მამუკა კომახია განიხილავს რუსეთის მე-4 სამხედრო ბაზას ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში, რომელიც 2009 წლიდან არსებობს და მის შემადგენლობაში დაახლოებით 4 000 სამხედროა. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი მე-7 სამხედრო ბაზის მსგავსად, ისიც რუსეთის სამხრეთი სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაშია. აღსანიშნავია 2009 წლის 30 აპრილის შეთანხმება რუსეთსა და ოკუპირებულ ცხინვალს შორის „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის ერთობლივი ღონისძიებების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, შეთანხმების ხელმომწერი ე.წ მხარეების მიერ აღქმული ე.წ საზღვრის 467.4 კილომეტრიანი მონაკვეთის „დაცვა“ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სამმართველოს პასუხისმგებლობაში შედის, ასევე დანარჩენ საქართველოსთან არსებული „საზღვრის“ 391.4 კმ-ის (gfsis, 2017). https://www.gfsis.org/ge/blog/view/766

მნიშვნელოვანია ე.წ „ბორდერიცაზიის“ საკითხის აღნიშვნაც უსაფრთხოების თვალსაზრისით, რასაც უზრუნველყოფს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველო საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების, ღობეების, ე.წ „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერების მონტაჟით, ტრანშეების გათხრით ან ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების გავლებით, რის გამოც ოკუპაციის ფარგლებში ექცევა ის ტერიტორიებიც, რომლებსაც 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა. შედეგად, საოკუპაციო ხაზი ფაქტობრივად რუსეთ-საქართველოს საზღვრად იქცა (gfsis, 2017). https://www.gfsis.org/ge/blog/view/766

ოკუპირებულ ცხინვალში უსაფრთოების სფეროში რუსეთის გავლენის ზრდას ადასტურებს ბოლოდროინდელი მოვლენები, რომლებიც ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში განთავსებულ სამხედრო ბაზებზე ვითარდება. მაგალითად, ერთობლივი სამხედრო წვრთნები რუსულ სამხედრო ბაზებზე (cominf, 2019) http://cominf.org/node/1166522885 , საერთაშორისო სამხედრო-ტექნიკური ფორუმის

ფარგლებში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის ბაზაზე თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის გამოფენა (armstrade, 2019) http://armstrade.org/includes/periodics/news/2019/0613/095552816/detail.shtml

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მკვლევრის, მამუკა კომახიას აზრით, ოკუპირებულ ცხინვალში ზემოაღნიშნული ვითარების მსგავსად, 2008 წლის ომის შემდეგ უსაფრთხოების სფეროში რუსეთის გავლენა ოკუპირებულ აფხაზეთშიც იზრდება. რუსეთის მზარდი აქტიურობა შეიმჩნევა რამდენიმე მიმართულებით, განსაკუთრებით კი თავდაცვის, საპოლიციო და საოკუპაციო ხაზზე კონტროლის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზაა განლაგებული, რომელიც ასევე სამხრეთის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაშია. აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებული აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის ჩამოყალიბება 2017 წელს. ამ უკანასკნელის მიზანია რუსი და აფხაზი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა საშიში ტიპის დანაშაულთან ბრძოლაში. ამისათვის ცენტრმა უნდა უზრუნველყოს დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა, ანალიზი და გაცვლა. უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე 2009 წლის 30 აპრილს რუსეთის პრეზიდენტსა და ოკუპირებული აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ პრეზიდენტს შორის გაფორმებული შეთანხმება „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის ერთობლივი ღონისძიებების შესახებ“, რომლის მოვალეობაც ოკუპირებული რეგიონის ე.წ საზღვაო და სახმელეთო საზღვრების დაცვაა (gfsis, 2017). https://www.gfsis.org/ge/blog/view/762

ოკუპირებულ აფხაზეთში განთავსებულ სამხედრო ბაზებზე ჩატარებული წვრთნები აღნიშნულ რეგიონში უსაფრთხოების სფეროში რუსეთის გავლენის ზრდას კიდევ ერთხელ ადასტურებს. მათ შორის შეგვიძლია გავიხსენოთ, საწვრთნელი ოპერაციები რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის ბაზაზე ოკუპირებულ აფხაზეთში (structure.mil, 2019) https://structure.mil.ru/structure/okruga/south/news/more.htm?id=12237591@egNews

ამავე ბაზაზე ჩატარებული სამხედრო წვრთნები, რომლებშიც ადიღეს რესპუბლიკაში განლაგებულ ბაზაზე ჩატარებულ წვრთნებში მონაწილე სამხედროებთან ერთან ჯამში 1500-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე იღებდა მონაწილეობას (structure.mil, 2019) https://structure.mil.ru/structure/okruga/south/news/more.htm?id=12237591@egNews

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 48 რაუდნის ჩატარების მიუხედავად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება კვლავ სავალალოა. ამას ნათალდ ადასტურებს საერთაშორისო ორგანიზაცია „Amnesty International"-ის 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიში - „მავთულხლართებს მიღმა: „ბორდერიზაციით გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში". სამხრეთ კავკასიაში ორგანიზაციის წარმომადგენლის ლევან ასათიანის თქმით : „რუსეთის მცდელობებმა, რომ ადმინისტრაციული ხაზი გადააქციონ „საერთაშორისო საზღვრად" მავთულხლართების, ღობეების, თხრილებისა და სხვა ფიზიკური ბარიერების აღმართვით ადგილობრივი თემები ორად გახლიჩა და სოფლების მოსახლეობა მოწყვიტა მათ სასოფლო-სამეუნეო მიწებს, წყლის რესურსებს, ეკლესიებსა და საგვარეულო სასაფლაოებს" (radiotavisufleba, 2019) https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9

8%E1%83%A1-
%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91
%E1%83%98%E1%83%A1-
%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91
/30036560.html

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის მომავალი

ზოგი ფიქრობს, რომ, იქიდან გამომდინარე, რომ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად უპირველესად დასახული ძირეული მიზნები მიღწეული არ არის, ფორმატი არაშედეგიანია და მომავალში არც მისი გაუქმებაა გამორიცხული. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მშვიდობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატთან მიმართებაში, მის ცვლილებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით უმეტესად ერთიანი და მსგავსი პოზიცია იკვეთება პოლიტიკური თანამდებობებისა თუ შეხედულებების მიუხედავად.

საინტერესოა საერთაშორისო თანათავმჯდომარეების შეხედულებები ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატთან დაკავშირებით, რომლებიც დისკუსიებში მედიატორის ფუნქციას ასრულებენ და რომლებთან აქტიური მუშაობა მუდმივ რეჟიმში

უნდა მიმდინარეობდეს საქართველოს მხრიდან მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. გთავაზობთ ამონარიდებს მათ მიერ მიცემული ინტერვიუდან :

ჰერბერტ ზალბერი, ევროკავშირის წარმომადგენელი:

„არ ვფიქრობ, რომ პროცესი რამენაირად ჩიხშია შესული. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ელით ამ პროცესისგან. ამ შემთხვევაში მოლოდინი რეალისტური უნდა იყოს. ჟენევის პროცესი არის ერთგვარი ქოლგა, რომლის ქვეშ განიხილება უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხები. პროცესში ჩართული ყველა მხარე რეგულარულად გვეუბნება, რომ ეს მათ ძალიან ეხმარება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ინციდენტებს. ჩვენი ფორმატი საშუალებას აძლევს მხარეებს გაარკვიონ, ვინ დგას ამის უკან, სინამდვილეში რა მოხდა და როგორ შეიძლება შეიძლება მოგვარდეს ამ ინციდენტების პრობლემა. ეს ამ პროცესის ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რასაც არავინ უარყოფს. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ყველა თანხმდება, რომ ეს პროცესი უნდა არსებობდეს“ (netgazeti, 2015). https://netgazeti.ge/opinion/73470/

ანტი ტურუნენი, გაეროს წარმომადგენელი:

„ჟენევის მოლაპარაკებები არის ერთადერთი პლატფორმა 2008 წლის ომის შედეგებზე მსჯელობისთვის. ამ საკითხების განსახილველად სხვა პლატფორმა არ არსებობს. დიახ, მოლაპარაკებები აწყდება გარკვეულ პრობლემებს. ჩვენ ვიხილავთ ძალიან სერიოზულ, პრობლემატურ და კომპლექსურ საკითხებს. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ავსახოთ და განვიხილოთ, ადგილზე შევაფასოთ სიტუაცია და შევიმუშაოთ გარკვეული მექანიზმები ამ საკითხების გადასაჭრელად. ამგვარად გადაწყდა, რომ შექმნილიყო ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM), ცხელი ხაზი, რომელიც ფუნქციონირებს და გამოიყენება არა მხოლოდ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების, არამედ სხვა მიზნებისთვისაც, როგორიცაა სამედიცინო დახმარებისა და სხვა ჰუმანიტარული საკითხები. თქვენ, ასევე, გაქვთ საუკეთესო გამოცდილება, თუ როგორ გადაწყდეს ადგილობრივი მოსახლეობის, მაგალითად, ფერმერების პრობლემები. ეს არის მუშა-პროცესი, რომელიც თანდათან უმჯობესდება“ (netgazeti, 2015). https://netgazeti.ge/opinion/73470/

ანჯელო გნედინგერი, ეუთოს წარმომადგენელი:

„ჩვენ ვმუშაობთ ისეთ გარემოში, რომელიც უნიკალურია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ყველა მონაწილე მხარეა წარმოდგენილი. ეს მათ ერთმანეთთან სრულიად მრავალფეროვანი ურთიერთობის საშუალებას აძლევს იმ 3-4 დღის მანძილზე, რამდენ ხანსაც ჟენევის მოლაპარაკებების თითოეული რაუნდი გრძელდება. ჩვენ შეგვიძლია მათთან ორმხრივად განვიხილოთ მოცემული საკითხები, ხოლო მათ, თავის მხრივ, ერთმანეთს შორისაც შეუძლიათ განიხილონ ისინი, რაც ამ მექანიზმს მუშა-პროცესში

ტოვებს. ის ფაქტი, რომ ყველას შეუძლია საუბარი ერთი ქოლგა-სტრუქტურის ქვეშ, ვფიქრობ, მთავარი მამოძრავებელი ელემენტია“ (netgazeti, 2015) https://netgazeti.ge/opinion/73470/

ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის არაეფექტიანობის მიუხედავად, პაატა ზაქარეიშვილი არ ემხრობა მისი გაუქმების იდეას. “მეც ვეთანხმები იმ აზრს, რომ ჟენევის დისკუსიები არ ამართლებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნდა დაიხუროს. ჟენევის მოლაპარაკებებს აღვიქვამ როგორც სარკეს, სადაც ჩანს, რამე ხდება თუ არ ხდება. მორიგ რაუნდზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა კრიზისული ვითარება და საჭიროა, მხარეებმა ეძებონ გამოსავალი კრიზისიდან. როგორც მე ვატყობ, ჟენევის ფორუმი დღეს არის უფრო ყრუების ფორუმი, სადაც მონოლოგებს კითხულობენ და არანაირი დიალოგი არ მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მეც კრიტიკული ვარ ჟენევის დისკუსიების მიმართ, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მისი არსებობა ეჭვქვეშ დადგეს”, – განაცხადა ზაქარეიშვილმა (netgazeti, 2019). https://netgazeti.ge/news/377937/

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის რუსლან აბაშიძის აზრით, ჟენევის ფორმატის ცვლილებით მხოლოდ რუსეთს შეუძლია ისარგებლოს, რის შედეგადაც საშუალება მიეცემა პროცესი შეუქცევადი გახადოს. აბაშიძე ხაზს უსვამს ჟენევის ფორმატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას, რაც გულისხმობს იმას, რომ მას დიდ დისკომფორტს უქმნის ის ფაქტი, რომ ჟენევაში, როგორც მხარე ისეა წარმოდგენილი. იგი არ იზიარებს შეხედულებას ფორმატის ცვლილების შესახებ, შესაბამისად აცხადებს: „რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რათა ვითარება გამოიყენოს და საკუთარი სტატუსი შეცვალოს, ეს კი მიმდინარე პროცესისთვის საფრთხისშემცველი იქნება. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ფორმატი ისევე უნდა დარჩეს, როგორც სადღეისოდ არსებობს“ (accentnews, 2019) http://accentnews.ge/newsdetails.php?lang=1&NewsID=3393&fbclid=IwAR3khyZRXDTidxd2mw1wg3p9Dvl3iPjkDXJiZFCLPI_oO-zTjlCt7BGfkSc

ზემოაღნიშნულ შეხედულებებს ფორმატის ცვლილებასთან ან მის გაუქმებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის

მოადგილე სერგი კაპანაძე. GHN-თან მიცემულ ინტერვიუში იგი აცხადებს: „თუ შეწყდა მოლაპარაკებები ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველომ დაკარგა ევროკავშირი როგორც მედიატორი ჩვენსა და რუსეთს შორის. ეს იყო ყველაზე დიდი მიღწევა, რომელი ჩვენ გვქონდა. ევროკავშირი, ეუთო გაერო გავააქტიურეთ როგორც მედიატორები ჩვენსა და რუსეთს შორის და აშშ მონაწილეობდა ამ პროცესსა და მოლაპარაკებებში და ეს თუ დავკარგეთ ეს არის უდიდესი დიპლომატიური მარცხი“ (ghn, 2013) http://ghn.ge/index.php/news/82209-sergi-kapanadze-zhenevis-molaparakebebis-formatis-shetsvla-formatis-dasamarebas-nishnavs

ჟენევის საერაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის შენარჩუნებას და რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან საერთაშორისო თანათავმჯდომარეებისა და ამერიკის შეერთებული შტატების შუამავლობით დიალოგის გაგრძელება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საქართველოში უსაფრთოებისა და მშვიდობის მისაღწევად, რასაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციაც ნათლად ადასტურებს.

2018 წლის 8 აგვისტოს თბილისში ლიეტუვას, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებისა და უკრაინის ვიცე-პრემიერის მონაწილეობით ჩატარებული მრგვალი მაგიდის შემდეგ „ხანგრძლივი მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა განაცხადა : „მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს ღია სამხედრო დაპირისპირება, ადგილზე არსებულ ურთულეს ვითარებას შეუძლებელია ვუწოდოთ მშვიდობა. კონფლიქტის მოგვარებასა და მდგრადი მშვიდობის მიღწევას ესაჭიროება კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან“. საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისაკენ, დევნილების დაბრუნებისაკენ და ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგების, ურთიერთობისა და ნდობის აღდგენისაკენ. მას სწორედ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი დაასახელა იმ ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც ქვეყის საგარეო უწყება ცდილობს მიაღწიოს „არსებით შედეგს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოების,

ადამიანის უფლებებისა და მდგრადი მშვიდობის უზრუნველსაყოფად“ (mfa, 2018). http://mfa.gov.ge/News/%E2%80%8Bkonfliqtis-mogvarebasa-da-mdgradi-mshvidobis-migc.aspx

აღსანიშნავია, რომ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, შემუშავებული ამოცანები მოიცავს სწორედ „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიისაკენ მიმართული ნაბიჯების შეკავებასა და აღკვეთას, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დეოკუპაციას, კონფლიქტის ესკალაციის პრევენციასა და ადგილზე მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას“. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მეორე ამოცანა გულისხმობს „საქართველოს ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ისევე, როგორც საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებას“, მესამე ამოცანა - „ეთნიკური წმენდის არაერთი ტალღის შედეგად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას“, მეოთხე ამოცანა - „საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ საქართველოს მოსახლეობას შორის შერიგების, ნდობის აღდგენისა და ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობას“, მეხუთე - „საერთაშორისო არენაზე აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის შემდგომი განმტკიცებასა და კონსოლიდაციას, ცალკეულ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პროაქტიული მუშაობითა და თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების გზით“, ხოლო მეექვსე, ბოლო ამოცანა, გულისხმობს „კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სამართლებრივი საფუძვლების გამყარებას, საერთაშორისო სასამართლოების მიერ საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის გზით“ (2019-2011 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, გვ.4). http://www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx

იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ ეროვნული ანალიზის დონეზე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები არაეფექტიანი ინსტრუმენტია საქართველოში უსაფრთოებისა და სტაბილურობის მიღწევის თვალსაზრისით, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. აღნიშნული პროცესები დაწყებულიაა და საჭიროა მისი კიდევ უფრო დახვეწა და გაღრმავება. მაგალითად, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად ხელს უწყობს დიალოგის წარმართვას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის. ბოლო პერიოდში მსგავსი შეხვედრა 2019 წლის 20 მაისს გაიმართა. მისი მიზანი გახლდათ „ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ექსპერტებს შორის ინფორმაციის გაცვლა, ასევე, ქალთა ჩართულობის, მათი პრიორიტეტებისა და საჭიროებების გათვალისწინება და სამშვიდობო მოლაპარაკებების დღის წესრიგში ასახვა“ (georgia.unwomen, 2019). ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 47-ე რაუნდის მთავარი შედეგების განხილვის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისსტრის მოადგილემ, ლაშა დარსალიამ, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში და საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდათ, საქართველოს მიერ დაყენებული უსაფრთოებისა და ჰუმანიტარული საკითხების გარდა, ოკუპირებული აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანების უფლებების კუთხით არსებულ ვითარებაზეც ისაუბრა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის განცხადებით, „შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით კი ქალებისა და გოგოების უფლებების საერთაშორისო სტანდარტებისა და ინსტრუმენტების, მათ შორის მონიტორინგის მექანიზმების გავრცელების აუცილებლობას. სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა ჩართულობის ზრდისა და მათი ეფექტიანი მონაწილეობის შესახებ მსჯელობის გარდა, ქალთა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს მზაობა, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებთან მჭიდრო თანამშრომლობით, საკუთარი წვლილი

შეიტანონ კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში საქართველოში“ (georgia.unwomen, 2019).

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის როლი მშვიდობის მშენებლობაში ოკუპირებულ ტერიტორიებზეც მნიშვნელოვანია. „დღეს სამხრეთ ოსეთში არ არსებობს სრულყოფილი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მოაგვარებს არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. მესამე სექტორის სამხრეთ ოსეთში ფორმირება დაიწყო 1990-იანი წლების შუა ხანებში, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს. საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ზონებში ჩამოსვლა და პირველი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება“ (ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი, 2015, გვ. 184).

სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართლობაზე მშვიდობის მშენებლობის სფეროში განსხვავებული შეხედულებები იკვეთება ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში. ნათლად ჩანს, რომ ოსებისთვის არსებითი საკითხების მოგვარების გარეშე, მშვიდობის მშენებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაგალითად შეგვიძლია მოვიხმოთ ალან ჯოსუევის გამოსვლა, რომლის განცხადებით: „ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებდა ქართულ-ოსური მხარის ერთობლივი ჩართულობით ორი – ქართული და ოსური სკოლისთვის ერთი შენობის აშენებას, არაფერი შედეგი არ მოუტანია, გარდა დონორისთვის გაგზავნილი ანგარიშისა: „ნებისმიერი სამშვიდობო პროექტის პრიორიტეტი უნდა იყოს არა საქართველოში სამხრეთ ოსეთის ინტეგრაცია და ღირებულების სხვა სისტემის თავზე მოხვევა, არამედ სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარება მისი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით და არა – დონორთა ინტერესების ან უკვე არსებული სხვა პროგრამების მიხედვით. ჩემთვის, როგორც სამხრეთ ოსეთის რიგითი მოქალაქისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რას მეძახიან მე, ჩემს ქალაქს და ჩემს ქვეყანას. ამას ჰქვია ურთიერთპატივისცემა და მშვიდობის მშენებლობის საფუძველი, მაგრამ თუ ქართველი კოლეგები ამას არ აკეთებენ, მაშინ არა აქვს აზრი მათთან მშვიდობის მშენებლობაზე საუბარს“ (ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი, 2015, გვ. 188).

დასკვნა

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის განხილვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მცდელობების მიუხედავად, ნათლად ჩანს, რომ ძირეული მიზანი 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების პირობების შესრულების შესახებ კვლავ განუხორციელებელია. შეუძლებელია საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიღწევაზე საუბარი, მაშინ როცა მისი ტერიტორია რუსეთის ფედერაციის მიერ არის ოკუპირებული, აღნიშნული ოკუპირებული ტერიტორიები კი მასთან კოორდინირებულად მუშაობენ, უსაფრთხოების და სხვა სფეროებში, რაც ასშკარად იკვეთება მოლაპარაკებების მაგიდასთან მხარეების მიერ გამოთქმულ პოზიციებში. ეროვნული ანალიზის დონეზე მხოლოდ საქართველოს მცდელობა საკმარისი არ არის არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა მოლაპარაკებების პროცესისთვის მეტად სასარგებლოა, თუმცა რუსეთის მიერ არჩეული კურსი და ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიერ მისი პოლიტიკის გატარება ფორმატის უმთავრესი მიზნის

შესრულებას შეუძლებელს ხდის. მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით, მას შემდეგ რაც გამოიკვეთა, მხოლოდ ეროვნული ანალიზის დონეზე გამოყენებული ინსტრუმენტის სახით ჟევენის სართაშორისო მოლაპარაკებების არაეფექტიანობა, მნიშვნელოვანია უფრო მრავალფეროვანი მუშაობის წარმართვა, სამოქალაქო ორგანიზაციებთან კონსულტაციების გავლა და სამშვიდოო პოლიტიკის გატარება, არამხოლოდ თითოეული რაუნდისთვის ინდივიდუალური მომზადება, არამედ მოლაპარაკების რაუნდიდან რაუნდამდე საერთაშორისო თანადავმჯდომარეებთან აქტიური მუშაობა, მდგრადი მშვიდობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პროექტების განხორციელება, მყარი პოზიციების შემუშავება იმისათვის რომ რუსეთმა არ ისარგებლოს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის ცვლილებით და ჯერჯერობით მთავარი მიზნების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც კი საერთაშორისო დიალოგის რეჟიმის გაგრძელება.

გამოყენებული ლიტერატურა

(http://www.sumbiosis.com/fileadmin/downloads/tools/d/multilateral_negotiations_e.pdf)

https://www.die-gdi.de/uploads/media/BP_10.2017.pdf

https://www.peaceinsight.org/blog/2014/04/peacemaking-peacekeeping-peacebuilding-peace-enforcement-21st-century/

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4082

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4082

http://iccn.ge/index.php?article_id=291&clang=0

http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=92

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Sopiko Taliashvili

The Geneva International Discussions as a tool of achieving security and stability In Georgia – national analysis level

Master Programme of Conflict Analysis and Management

Master's Thesis Presented to the Graduate Tbilisi State University Submitted of the Requirement for the degree of Master of Arts in Conflictology

Supervisor: Guguli Maghradze, Professor of the Tbilisi State University

Tbilisi 2019